ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-2287

"22" ნოემბერი 2016 წ.

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.11.12.015.116, 01.11.12.015.115) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 3 ნოემბრის №54 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის I მიკრორაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.11.12.015.116, 01.11.12.015.115), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,5, კ2=6,2.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE23TB7002533030100037.) 40 560 (ორმოცი ათას ხუთასსამოცი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საგადახდო დავალება
Payment Order

1497863450

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 19/06/2017

გადამხდელი / Sender

შპს ნაის რუმი, 405179373

რეფერენსი / Ref. Num.

1653225015

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE82TB7963636080100005

თანხა / Amount

40,560.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორმოცი ათას ხუთას სამოცი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ნაის რუმი, 405179373*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 405179373

მიმღები / Receiver

ქ.თბილისის მერია

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE23TB7002533030100037

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

19/06/2017

გადახდის დანიშნულება / Operation Details

თანახმად ბრძანება N1-2287, 22.11.2016 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

2014 წლის 12 დეკემბრის N17-49დადგენილების შესაბამისად სპეციალური საეთანხმების მოსაკრებლის გაცემისათვის

ხელმოწერა
Signature



ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.